

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე),

ნ. კლარჯეიშვილი (მომხსენებელი),

გ. ქაჯაია

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის 1995წ. 27 დეკემბრის 102/... ორდერით რ. ს.-ს ნება დაერთო ...-ის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე განეთავსებინა 3 კვ.მ-ის სარეალიზაციო ჯიხური. ორდერი გაიცა ერთი წლის ვადით.

დიდუბის რაიონის გამგეობამ 1999წ. 1 ოქტომბერს არ დააკმაყოფილა რ. ს.-ს განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვდა ადრე განთავსებული სავაჭრო ჯიხურის ფუნქციონირების ვადის გაგრძელებას სავაჭრო ფართის 10 კვ. მ-მდე გაზრდით. გამგეობამ რ. ს.-ს აცნობა, რომ მის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურულ-დიზაინერული ობიექტის განთავსების ორდერს 1996წ. 27 დეკემბერს გაუვიდა ვადა, ხოლო გამგეობის მიერ იგეგმებოდა ღონისძიება რაიონის ტერიტორიაზე უსისტემოდ განთავსებული ყველა სავაჭრო ჯიხურის აღებაზე.

2004წ. 14 აპრილს რ. ს.-მ სარჩელი აღძრა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების: დიდუბის რაიონის გამგეობის, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის მიმართ და შემდეგი მოტივით მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება:

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1995წ. 27 დეკემბრის 102/... “ქალაქდიზაინის” ორდერით ნება დაერთო ...-ის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო ჯიხურის განთავსებაზე. იმ მომენტისათვის არ გააჩნდა ჯიხურის დადგმის საშუალება, რის გამოც იძულებული გახდა ევაჭრა ხელოვნურად შექმნილი რკინის ღია სავაჭრო მაგიდის საშუალებით. ქალაქის მერიის ხელმძღვანელობამ აუკრძალა ვაჭრობა იმ მოტივით, რომ მუშავდებოდა ქალაქის გენერალური გეგმა და გარკვეული დროის შემდეგ მოსარჩელე მიიღებდა ჯიხურისთვის განკუთვნილ შესაფერის ადგილს. მოსარჩელის თხოვნის საფუძველზე, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ 1998წ. 1 ივლისის 1281 წერილით მიმართა მერიის მიწათსარგებლობისა და ქალაქმშენებლობის საქალაქო კომისიას და სთხოვა, რომ მისთვის გამოეყოთ 40 კვ.მ, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია.

რ. ს.-ს აზრით, საკითხის მოგვარება შეიძლებოდა, ვინაიდან იმ დროისათვის ხდებოდა მიწის იჯარის წესით გადაცემა, მაგრამ მას სიტყვიერი უარი უთხრეს. 1998-2003 წლების განმავლობაში რამდენჯერმე მიმართა ქვეყნის ხელმძღვანელ პირებსა თუ მოპასუხე ორგანოებს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. არც ერთმა მოპასუხემ არ გაითვალისწინა, რომ იგი არის მეწარმე, ბანკში გახსნილი აქვს ანგარიში, ასევე არის ლტოლვილი და დამწვარი აქვს სახლ-კარი.

მოსარჩელის განცხადებით, იგი დაავადებულია დიაბეტით, აწუხებს გული, რაც კავშირშია მოპასუხეთა უკანონო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. ს.-მ ზაკ-ის პირველი მუხლის მეორე ნაწილის, 47-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ” ქვეპუნქტის, სამოქალაქო კოდექსის მე-18, 411-ე და 413-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის სახით 500000 ლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრება და ...-ის ბაზრის ტერიტორიაზე 10 კვ. მ სავაჭრო ჯიხურის დადგმაზე ნებართვის გაცემა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004წ. 12 ივლისის გადაწყვეტილებით რ. ს.-ს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 18 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა რ. ს.-ს სააპელაციო საჩივარი და შემდეგი საფუძველით უცვლელად დარჩა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ რ. ს.-მ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით მიმართა მოპასუხე საჯარო დაწესებულებებს მათთან არსებული საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე და შესაბამისად, არც მათგან მიუღია უარი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ. ამასთან, არც განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო ქონებრივი (მატერიალური) ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ზაკ-ის 47-ე მუხლზე მითითებით სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

სააპელაციო სასამართლომ მთლიანდ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და მიუთითა, რომ სკ-ის 411-ე და 1005-ე მუხლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოს ან მისი მოხელის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, რაშიც ბრალი უნდა მიუძღოდეს ზიანის მიმყენებელს, ხოლო მოცემული პირობების ერთობლიობის არარსებობა გამორიცხავს ზემოაღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას.

ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელის ავადმყოფობა გამოწვეულია უშუალოდ მის მიმართ სახელმწიფო მოსამსახურეთა მხრიდან მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობის საფუძვლები და შესაბამისად, მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საფუძველს მოკლებულია.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 18 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ს.-მ და შემდეგი საფუძველით მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება:

კასატორმა აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დადგენილია და ამას არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლო არ უარყოფს, რომ დიზაინის სამსახურმა 1995წ. 27 დეკემბერს მიიღო <sup>102/...</sup> ორდერი ქ. თბილისის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-დიზაინერული ობიექტის განთავსების შესახებ, რითაც ნება დაერთო ...-ის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე 3 კვ.მ ფართის სარეალიზაციო ჯიხურის განთავსებაზე, რაც ერთი წლის ვადით განისაზღვრა. უსახსრობამ კი გამოიწვია ამ ერთწლიანი ვადის გასვლა.

კასატორის განმარტებით, 1995 წლიდან იგი ინდემწარმეა, გახსნილი აქვს ანგარიში ბანკში და სახელმწიფო, თავის მხრივ, ვალდებული იყო ხელი შეეწყო მისთვის კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელებაში. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები მოწმობს იმას, რომ დიაბეტი და გულის იშემიური დაავადება უშუალო კავშირშია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებულ ზარალთან, რასაც უნდა მოჰყვეს სათანადო სამართლებრივი რეაგირება.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სკ-ის 408-ე, 411-ე და 1005-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს,

როდესაც სახეზეა სახელმწიფო ორგანოს ან მისი მოხელის არამართლზომიერი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი, ხოლო სააპელაციო პალატის მიერ ზემოაღნიშნული ნორმების გამოუყენებლობა არღვევს სსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებით ახალი გადაწყვეტილების გამოტანა და მოპასუხეებისთვის სოლიდარულად 500000 ლარის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

მოპასუხე ქ. თბილისის არქიტექტურული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებდა მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით გაცემის შესაძლებლობას და მათ უკანონო მოქმედებით კასატორისთვის ზიანი არ მოუყენებიათ.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ს.-ს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 18 იანვრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, კასატორი რ. ს.- სკ-ის 408-ე, 411-ე, 1005-ე მუხლების საფუძველზე ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოების უკანონო მოქმედებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაც უსაფუძვლობის მოტივით არ დაკმაყოფილდა რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მიერ და რასაც სრულად იზიარებს საკასაციო პალატაც.

კასატორი ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებს სკ-ის 1005-ე მუხლზე, რომლის თანახმად: “თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო, ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი”, რაც ასევე აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, რომლის მიხედვითაც: “ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ

მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან”, ხოლო სკ-ის 408-ე მუხლით: “იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულზელი გარემოება”.

ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოსა და სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება აღიარებული და უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობით, მაგრამ დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების ერთობლიობა, კერძოდ, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის დეფინიცია მოცემულია სკ-ის 992-ე მუხლში: “პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი”. კანონმდებლობის მიხედვით ზიანის ანაზღაურებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა (“გენერალური დელიქტი”) ზიანის არსებობა, რომელიც მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით, ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზიანის არსებობის მიუხედავად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი ვერ ადასტურებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რამაც შედეგად გამოიწვია მისთვის ზიანის მიყენება. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხე არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1995წ. 27 დეკემბერს გაცემული ორდერით, კასატორს უფლება მიეცა ...-ის ბაზრის ტერიტორიაზე განეთავსებინა 3 კვ.მ ფართობის სარეალიზაციო ჯიხური, რაც კასატორმა უსახსრობის გამო ვერ მოახერხა, რაშიც, ბუნებრივია, ბრალი არ მიუძღვით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს და ორდერით მინიჭებული უფლების რეალიზაციაში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს კასატორისთვის ხელი არ შეუშლიათ. ვინაიდან ორდერი ერთი წლის ვადით იყო გაცემული და ამჟამად მოქმედი მიწის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი წესით გაცემას და საჭიროა აუქციონში ან კონკურსში მონაწილეობის გზით ამ უფლების მოპოვება, ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან კასატორის უფლებების ხელყოფას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების უკანონო მოქმედებით კასატორისათვის ზიანის მიყენება არ მომხდარა, რის გამოც რ. ს.-ს სარჩელი, ზიანის ანაზღაურების სახით, მოპასუხეებისთვის სოლიდარულად 500000 ლარის დაკისრების შესახებ უსაფუძვლოა და მართებულად არ დაკმაყოფილდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. ს.-ს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 18 იანვრის განჩინება, რადგან საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონდარღვევებს ადგილი არ ჰქონია და სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებათა სწორი

დადგენითა და კანონის მართებული გამოყენებით მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის პირველი, სსკ-ის 47-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ს.-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 18 იანვრის განჩინება;
3. კასატორი გათავისუფლდეს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
4. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.